არაბეთ-ამერიკის ინსგიგუგის წარმომადგენელს ჯინ აბინადერს მიაჩნია, რომ აბიზაიდის დანიშვნა ამ თანამდებობაზე გახდება კარგი ახალი ამბავი ამერიკაში მცხოვრები ყველა არაბისათვის და თვით არაბული სამყაროს მოსახლეობისათვის.

„არის ეჭვი, რომ არაბული წარმომობის ამერიკელები ამერიკის შეერთებულ მგაგებში განიცდიან დისკრიმინაციას რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე, — აღნიშნა მან „ნეშნლ რეკეიუსათვის“ მიცემულ ინტერვიუში. — — ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამ თანამდებობას დაიკავებს ადამიანი, რომელიც რეალურად იმოქმედებს“, — დასძინა ექსპერგმა.

სადამ ჰუსეინი, ალბათ, ცოცხალია

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ სადაზვერვო სამმართველო აღნიშნავს, რომ სმა ფირზე, რომელზეც ჩაწერილია ერაყის ყოფილი დიქტგატორის მმართველი ერაყელი ხალხისადმი, ალბათ, მართლაც სადამ ჰუსეინისა უნდა იყოს.

ამერიკის დაზვერვა აცხადებს, რომ ექსპერგებმა გულდასმით შეისწავლეს კაგარის ტელეკომპანია „ალ-ჯაზირათი“ გადაცემული ჩანაწერი და გამოიგანეს დასკვნა, რომ სმა, შესაძლოა, მართლაც ეკუთვნოდეს ერაყის დამხობილ ლიდერს. მართალია, ფირზე ადამიანი ნიჭიერად ლაპარაკობს, ამ ფაქტს ამერიკელ ექსპერგებს ეეჭვებიან, ეს ფირი ადრე ჩაწერილ ფრაგმენგებისგან ერგიანგია.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 179. ოთხშაბათი, 9 ივლისი, 2003 წელი.

გამოიცა

ძეგლი თემურ მათურელს

ასე შეიძლება ვუწოდოთ წიგნს „თემურ მათურელი“, რომელიც გამოსცა „საქართველოს მუსიკალურმა საზოგადოებამ“. მისი შემდგენელი და რედაქტორია ქალბატონი მანანა ახმეტელი.

წიგნში, რომელშიც თავმოყრილია გამოჩენილ მუსიკოსთა, თემურის მეგობართა და მოწაფეთა მოგონებები, დიდი სისრულითა და სისავსით არის წარმოდგენილი გამოჩენილი ქართველი მუსიკოსის – პიანისტისა და პედაგოგის, მომხიბლავი და დიდებულებოვანი ადამიანის თემურ მათურელის (1947-1993) სახე.



სამწუხაროდ, თემურთან ახლო ურთიერთობა არ მქონია, თუმცაღა არაერთგზის დავსწრებივარ მის კონცერტებს და, რაღა თქმა უნდა, ძალიან მაღალი აზრისა ვიყავი მასზე, როგორც პიროვნებასა და ხელოვანზე.

მაგრამ ამ წიგნის გაცნობის შემდეგ მოულოდნელად დარწმუნდი, რომ ჩემს წარმოდგენებში თემურის შესახებ ძალიან დიდი ხარვეზებია. ეს ეხება როგორც მის პიანისტურ, ისე, განსაკუთრებით, პედაგოგიურ მოღვაწეობას, ბევრი რამ კარგი და საგულისხმო შეეტყვე მის პიროვნულ თვისებებშეც. 45 წლისამ რამდენი მოასწრო, რამდენი ადამიანის სიყვარული და პაგივისცემა დაამსახურა!...

წიგნი სავსეა ქართული და რუსული მუსიკალური ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლების, თემურის მეგობრებისა და მოწაფეების ძალზე გულთბილი მოგონებებით, პროფესიული მსჯელობით მისი პიანისტური მოღვაწეობისა და პედაგოგიური სკოლის დამახასიათებელ ნიმან-თვისებებზე. ამდენად, ეს მოგონებები, ყველაფერთან ერთად, დიდი მეთოდიკური ღირსებებითაც არის აღბეჭდილი.

რომელ ერთმე მეეჩერდე? – ყველა თავისებურად საინტერესო და საგულისხმოა.

აქ წაიკითხავთ თემურის დედის – ქალბატონ ქეთევან ნათიძის გულისშემძვრელ, ტკივილიან და ამავე დროს, საოცრად ობიექტურ, ზუსტ – თავის შეფასებებში წერილს, ჩვენი და რუსი გამოჩენილი მუსიკოსების – კომპოზიტორების, პიანისტების, დირიჟორების, პედაგოგების, მათ შორის, თემურის მოსკოველი პედაგოგის, ცნობილი პიანისტის, პროფესორ იაკობ ფლიერის ერცელ გამონათქვამებსა და წერილებს, რომლებშიც ძალზე მაღალი შეფასება აქვს მიცემული თ. მათურელის პიროვნულ და პროფესიულ (როგორც პიანისტისა და პედაგოგის) თვისებებსა და ღირსებებს.

წიგნში მოთავსებულია საკუთრივ თ. მათურელის რამდენიმე საგაზეთო წერილი და ერთი ძალზე შინაარსიანი, ფრიად კომპეტენტური და, მე ვიტყოდი, „მუსიკალური“ წერილი-გამოკვლევა – „ალბან ბერგის ადრინდელი ნაწარმოებები“, რომელიც აავლენს მისი ავტორის ჭეშმარიტ მუსიკალურ და მეცნიერულ განსწავლულობასა და პროფესიონალიზმს.

ძალიან კარგია, რომ წიგნს დართული აქვს პიანისტის საკონცერტო მოღვაწეობის ქრონოლოგია ფართო ინფორმაციული მასალით, აგრეთვე მისი მოსწავლეების სრული სია. ვრცელი და სანტაგერესოა, აგრეთვე წიგნში მოთავსებული ფოტომასალაც.

მოკლედ, ყველაფრით კარგია სარეცენზიო წიგნი და რაოდენ დასანანი და სავალალოა, რომ მისი მთავარი გმირი დღეს ჩვენთან აღარ არის.

მაგალობა წიგნის მესვეურებს, გამომცემლებს, მემდგენელს, ავტორებსა და, რაც მთავარია, – თვით თემურ მათურელს, ჩვენს ძვირფას, დაუვიწყარ თემურს!

გულბათ ტორაძე.

გვწერენ

ჯერ კიდევ ანთია იმედის სანთელი

წლეულს, 3 მაისს სოფელ თამარაშენში მოსხდარმა გრანდიოზმა მეელი საქართველო შეძრა.

ჩემი მეუღლის და შვილების: სიმონ, ვახტანგ, ოთარ და რამაზ მინდიაშვილების მკვლელობით გამოწვეული ტკივილი მოურჩენელ ჭრილობად დარჩა დიდი ხანს.

**ეს ფიქრები, ალბათ, ბევრ ადამიანს ეკითხებოდეს.

წიგნი ტკივილი

„დამისხოვრე, თანაფესვო“

ბაბრინი ვახუშტი კოტეგიშვილი წლების მანძილზე საქართველოს მთასა და ბარში გრიალებდა, – იწერდა ხალხურ ლექსებს, ავგორებს ამერ-იმერიდან თბილისში იწვევდა, ლექსებს უშუალოდ ავგორები გვიკითხავდნენ ხოლმე და მერე გულწრფელი სიხარულით ხარობდა მთელი საქართველო; მთიდან და ბარიდან თბილისში მობრძანებულ თითოეულ სტუმარს შეახროდნენ დარბაზში მეკრებილები, შეპ ხაროდნენ ლექსთა მკითხველებს, რომლებიც ეფერებოდნენ და ეალერსებოდნენ ყოველ ქართულ სიტყვას... ქართული სიმღერის ხმები დალიეოდნენ პაერში, ათბობდნენ და საქართველოს გადარჩენის იმედით უვსებდნენ გულს დარბაზში მეკრებილებს; თითქოს გალაღებული და ახალი სასიცოცხლო ძალით გაბრწყინებული ქართული სიგყვა მეობდა და ხარობდა; ხარობდა ყველა და ამ დღესასწაულის შუაგულში მდგარი ბაგონი ვახუშტი, რომელიც პარნასიდან მობრძანებულ სტუმართა კეთილ მასპინძელს ჰგავდა, განსაკუთრებით ბედნიერი ჩანდა...

ალბათ, რა დიდი სურვილი ჰქონდა ამ ჩინებულ მეცნიერს, რომ ფერეიდანში ჩასულიყო, იქიდანაც მოეწვევა ქართველები... ეს უკვე მეიმთა მეიმი იქნებოდა. ფერეიდნელ ქართველებს საქართველო სამოთხედ ესახებათ, – მათ მიერ სამშობლოსადმი სიყვარულის გამოხატგა ლოცვასავით აჟღერდებოდა. მათი ლექსის და სიმღერის გაგონებისას ქართულ მიწამე მცსოურებნი და გარექართველები (ეს გამოთქმა ბაგონი ვახტანგ გურგენიძისგან გამიგონია) ალბათ, ცრემლებად დაიღვრებოდნენ... არ იყო მაშინ ასეთი საღამოს გამართვის საშუალება, ვერც ფერეიდნელ ქართველთა სიტყვიერების თანმიმდევრობით ჩაწერა ხერხდებოდა...

დღეს საქართველოს ელჩი ირანში, ჩვენი ცნობილი ირანისტი, პროფესორი ჯუმშიდ გიუნაშვილია. დიდ პროფესიონალიზმთან ერთად უშუალო, თბილი, კეთილი ურთიერთობების დამყარების მშვენიერი უნარი აქვს ბაგონ ჯუმშიდს, რაც მისი მინაგანი, კეთილშობილებით სავსე ბუნებიდან გამომდინარეობს. ეს ყოველივე „გარექართველებს“ უშუალო, გულწრფელი მეგობრობის გრძნობით განაწყობს ამ ჩინებული ადამიანისადმი და ისინიც გულითადად აცნობენ მას თავიანთ ლექსებს, უამბობენ ძველ თქმულებებსა და ბრაკებს. ჯუმშიდ გიუნაშვილი ენათმეცნიერია და ფერეიდნელ ქართველთა კილო-კავს სწავლობს, – მისი შემწეობით ქართველ მეცნიერთა ექსპედიციებიც მოეწყო ირანში... ასე რომ, ფერეიდანში მეხოვრე ქართველთა შემოქმედება, რაც მხოლოდ მეპირი გმით ვრცელდება, გადარჩენის გზაზე დგება...

ამ ცოგა ხნის წინათ ბაგონმა ჯუმშიდ გიუნაშვილმა ვახუშტი კოტეგიშვილს ახალი მოძიებული ლექსები მიაწოდა, რომლებიც მან ერთ პაგარა წიგნად გამოსცა... წიგნს „ფერეიდნელის ოროველა“ ჰქვია (თბილისი, 2003).

ამ კრებულში, ძირითადად, საქართველოზე შექმნილი ლექსებია თავმოყრილი. სულ რომ არ უყვარდეს პოეზია, ალბათ, ცოგათი მაინც იმასაც შეძრავს ფერეიდნელი ქართველის მიერ გულიდან ამოთქმული ეს სიტყვები: **„ფერეიდანის მიწას ვხნავ, აგერ, ოთხასი წელია, აგერ ოთხასი წელია, გამშმარი ფიქრი ჩავთესე, ხმელი ხორბალი ერაა. სამშობლოს მონაგრული ვარ, აგერ ოთხასი წელია“.** – ამ ლექსის შემქმნელი მთელი იმ თაობის ნაწილად აღიქვამს თავს, მაპ-აბასმა რომ გადაასახლა სამშობლოდან...

ირანში ქართველთა საცხოვრისის „დედაქალაქს“, – ქართველთა იქაურ ცენგრს „მარტყოფი“ ჰქვია. ამ „გაქართულებულ“ მიწას ეალერსებიან ფერეიდნელი ქართველები: **„დამპაოინები ქუჩებში მორთულან, და ანათებენ გურჯთა გზას, ასეთი საამო სამოთხე ცოგად თუ არის ქვეყანად“** (ემამყული ბბთავანი). იგივე ემამყული ბბთავანი ქართული ენის შესახებ ამბობს, რომ „იგი ნაგლეჯად შეიძლება ითქვას ქართველისად“.

სხვა ქართველი ხალხური მთქმელი, საიდ მოყასადი მორეთიდან ასე გამოსძახის სამშობლოს, სამოთხედ რომ ესახება:

„ჩემო ოცნებო, ჩემო სიყვარულო, ჩემო საშშობლო, დაგიკივლეთ შვენა“... „დაბარდნილ-ვარ შე, წუთებსა ვთვლი შე, იქნებ ნახვას დროს მაიდეს ერთ დღეს“...

აი, კიდევ ერთი ნაწყვეტი ხალხური ლექსიდან: **„ნეგა მაღე აღსრულდეს, შემოვჯდე თეთრ დრუბელზე, გავვეგზავრო საშშობლოსკენ“.**

ეს კი პოეტური იუმორის ნიმუშია ოთხასი წლის წინათ ჩვენგან გადასახლებული ქართველის მთამომაელისა: **„ეოგო, ეოგო, ნაბო ეოგო, სად იყავო? – დედიანთას. რა დაგიგეს? – ეკალ-შეკალი. რა გაგშეს? – ცაგე წელა. რა გაგიარეს? – საღერდელა“.**

გადაუვვარებელი, ძლიერი ქართველის ერთ ლექსს გავეცნოთ: **„მოთას დღესი მუდამ მინდა, ქართულ ენა მსოლოდ მინდა, მაშ, მე კი თუ ესენი მაქვს, იმ ქვეყანის ფესვები მაქვს.“**

ფერეიდნელ ქართულ ხალხურ პოეზიას თავისი სპეციფიკა აქვს, – რიგმი არღვევა, არც რითმაა დახვეწილი. თუ ყოველივე ამას ნაკლად მივიჩნევთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს დაახლოებით ისეთივე „ნაკლია“, რომელიც დიდი პრიმიგიგისგი მხატვრების გილოვბზე შეიძლება ნახო, სადაც გაუწაფავი ხელით დახატული ყვავილი შეიძლება სახლზე მაღალი იყოს; ასეთი ნახატები ზღაპრულ სამყაროს არაამქვეყნიური, ასგრალური ფერების წარმოჩენის გარდა, ბავშვური გულუბრყვილოის სმუალებითაც ქმნის. თვამბეუდავეი ის, რომ პრიმიგიგისგი მანერულობით არ გამოხატგავს ამ ბავშვურობას, – მასთან სწორედ ბუნებრიობა და გულწრფელობა იწვევს ემოციას... ფერეიდნელ ქართულ ხალხურ პოეზიაში მეტრიკისა თუ სიტყვითა გარითმვის კანონების დარღვევა, უშუალობის განცდას ბადებს და სწორედ ეს ქმნის თავისებურ ესთეტიკას, ირანელი ქართველის სახეს შეაფიოდ სწორედ ეს გვიჩვენებს: **„ქალბაგონო დანაშნულსა, ვახუქეს გკბილ სიმღერისა ვენაცვალო სანდომიანსა, ხალხში იშერს მაღლად ყველსა. ღმერთმა მაიცეს საქონელი, შემოგვლეს უფელ ხარსა. ქუჩებშიგა ვეგარბეი, ველოდეს შენს ნახვასა“....**

აბა, ამ ლექსში ჩავასწოროთ ჯრამაგიკული „შეცდომები“, რიგში გავმართოთ, რითმა დავეხვეწოთ, – ლექსი თავისთავადობას მთლიანად დაკარგავს, მომხიბვლელობა საერთოდ არ დარჩება მასში...

ამ ლექსებს სპარსული პოეზიის გავლენა არ ეტყობა, – ქართულ ხალხურ ლექსთან ამყლენებს სიახლოვეს: „მთამ მაღალო, კალდოვან მაგარო, გვიაშმე რამე წარსულ-წამოსულისა“. შეად. **„იამმე ციხის ნაშალო“**... ქართულ ხალხურ შელოცვას ჰგავს ეს ლექსი: **„შმე, შმე, ამოდი, წავალ ყუშნი, ოქროს დანას მოგიგან, გიჯრი წელში, წადი ბოინში, გამო თორილში, წადი შიშპანს“... „შვვით მარეოფში, ქოვით მარტყოფში“...** ქართული სასიათი კარგად ჩანს ამ ლექსში: **– „ჩვენ სალხს უყვარს სტუმარი, სტუმარს არქმეევს ბარაქას“... „რაც აქეს, მარგოდ არ შეპეპამს, მეშობელსაც იკითხავს“.**

ერთი ლექსი სიუეტის განვითარებით **„თხა და ვენახს ბაგავეს: „ეიმა, ეიმა მოიდა, ხოსანაში ჩაიდა, ხოსანა რა ქნდა? თაგმა გამოხრიგა. თაგი რა ქნდა? ცოცამ გამეფდენა. ცეცა რა ქნდა? ბიდა ხეშენ. ხე რა ქნდა? უსთამ მოჭრა. უსთა რა ქნდა? ოშრი მეტრა“.**

წიგნში შეგანილია ანდაზები: **„ძინარე მე მადიებს“, „სიეოცხლე როგორადაც დაიშერო, გაგარდება“, „სადაც შენი თქვა, ჩვენიც არ დაავიწყო“.** ამ ანდაზების უმეტესობას, შესაძლოა, ასეულობით წლების წინათ წარმოთქვამდნენ ხალხში...

ალბათ, ცალკე გამოსაყოფია სიმშრის მოგვი ფერეიდნელ ქართულ ხალხურ პოეზიაში, – ყველას სამშობლო ესიმშრება, მათ წარმოდგენაში სამშობლო – ეს არის მორეული ღვთაებრივი სამყაარო, სადაც ყველაფერი განსაკუთრებულად მშვენიერია: **„მთელი დამე სად ვიყავი, სადა? სად რას ვიყავ, ჩემო დედერთო?! სხვა ადგილზე დავდიოდი, სხვა ქვეყანაში ვცხოვრობდი, ყველანი ქართული ისმოდა, ყველას ჰქონდა წათელი ლოყა, მგონია, იყო საქართველო“...**

მეჭდი სეფიანის ლექსს „მიწა“ ჰქვია, – აქ სიმშრეზე არაა ლაპარაკი, უბრალოდ ოცნებობს ქართველი: **„ოცნება მაქეს საქართველოში წასვლა“... „წავიდე იქა, დავკდე თბილისის მდინარესთანა, ვიმღერო სუ გულდიდნა შავ მდვის ნაბორთანა“.**

ერთ-ერთ ლექსს „დამისხოვრე, თანაფესვო“ ჰქვია: **„ოთხას წელი გაყრილი ვართ, მაგრამ გულით მაყრილი ვართ ჩემო ძმაო, ერთგული ვართ, მართლობაში ღმერთები ვართ“.**

ჯემშიდ გიუნაშვილმა და ვახუშტი კოტეგიშვილმა ამ ლექსების მოძიებითა და შემდეგ წიგნად გამოცემით ახალი „ჯოეფის სალამი“ მოგვიწყეს, ფერეიდნელი ქართველები „ჩამოგვიყვანეს“ თავიანთ ლექსებიანად. ხმა მოგვაწვდინეს ფერეიდნელმა „გარექართველებმა“... დარწმუნებული ვარ, ხსენებული ქართველი მეცნიერები, სხვანიც, კიდევ ბევრ კეთილ საქმეს გააკეთებენ, – ფერეიდნელ „გურჯთა“ საგბინტრს დავიწყებას არ მისცემენ, იღვაწებენ ჩვენი ურთიერთობებისათვის. ულრმესი მადლობა მივაგოთ მათ, მადლობა წიგნის გამომცემლებს (რეზო თევზაძე, ჯუმალ ინამიელი, მალხაზ გულამელი, გიორგი მახარაძე) და ცხადია, ულრმესი მადლობა ჩვენს ფერეიდნელ მოლეკესეებსა და ფერეიდნული ბეპარსიგყვიერების მცოდნეთ. მოვიხსენიოთ მათი სახელები (სპარსულ გვარებში ქართულ გვარ-სახელთა გამოკრთომა, ალბათ, ბევრს მოგვრის სეედანარევ სიხარულს): რეზო დავითაშვილი, ხოსრო მოყადასი (სეფამვილი), ემამყული ბბთავანი, შეპდი ლაჩინაშვილი, საიდ მოყადასი, მალექ მოპამად რაპიმი, ჰაიდარ ასლანი (დარჩიასშვილი), მეკდი სეფიანი, ჯოსეინ თავგზოპი, საიდ მულიანი, ალიმარდან ოისელიანი, მოიხეს ხუციანი, მასუდ ესფანანი, საიდ ესფანანი, არაა ხოსრავი, ნათელა ყალანი, ნანა ნუმა ლაჩინელი, საიდ გუგუნანი, მუხთარ ასლანი...

მართლაც სიყვარულით სავსე „ოროველა“ მოგვაწვდინეს „გარექართველებმა“ მორეული ფერეიდანიდან...

გორა კუჭუხიძე,
მოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი.

ჟიდობა

შვილები—მამათა კვალზე

დრნის როსტოვში დამთავრდა 2003 წლის ევროპის პირად-გუნდური პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. წარმატებით იასპარეზეს საქართველოს ნაკრების წევრებმა. ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს თბილისელმა აკაკი ჯოხაძემ (76 კგ.) და ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციის ვიცეპრეზიდენტის – თამაზ გეგეშიძის ვაჟმა ვლადიმერმა (85 კგ.), ევროპის ექსჩემპიონის – მოთა მორჩილაძის ვაჟმა გივიმ (100 კგ.) ბრინჯაოს მედლით დაიმშვენა მკერდი.

ზალვა ჩიხლაძე.

მინიფეხბურთი

„მართვე“ ქალაქის ჩემპიონია

სპორტსაბრალოება „შევარდენის“ სტადიონზე თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით გაიმართა 1992 წელს დაბადებულ ჭაბუკთა გურნირი მინიფეხბურთში. ჩემპიონობისთვის ბავშვთა 18 კლუბი ასპარეზობდა. ფინალურ მაგჩში ერთმანეთს შეხვდნენ „მართვე“ და „ოლიმპიკი“. დაძაბული ასპარეზობა მინიმალური ანგარიშით – 1:0 „მართვემ“ (მთავარი მწვრთნელი დათო კაციგაძე) მოიგო. მესამე ადგილი დაიკავეს თბილისის არმიის სასპორტო კლუბის ფეხბურთელებმა, რომლებმაც ასევე 1:0 სძლიეს სპორტის დამსახურებული ოსტგის – თენგიზ სულაქველიძის სახელობის საფეხბურთო აკადემიის გუნდს.

ფოთა ჩოხელი.
სურათზე: თბილისის 2003 წლის ჩემპიონი „მართვე“.
რობერტ ბაბუნაანს ფოგო.

ჩოგბურთი

„ბორჯომის“ პრიზი – გაბაშვილს



ლეონა მესხმა ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დამთავრა პროფესიონალ ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო გურნირი „ბორჯომის“ პრიზზე. ერთეულთა თანრიგში გაიმარჯვა თეიმურაზ გაბაშვილმა, რომელიც ათი წლისა გადასულა საცხოვრებლად მოსკოვში. ნახევარფინალური შეხვედრა მან ჩეხ რადიმ მიგაკოს მოუგო – 6:1, 6:3, ფინალშიც მისი თანამემამულე იან მინარი დაამარცხა – 6:4, 6:1 და „ბორჯომის“ პრიზთან ერთად 2 ათასამდე დოლარიც მიითვალა.

წყვილთა თანრიგის ფინალში ჩეხების – იაროსლავ პოსპიშილისა და რადიმ მიგაკოს დუეტმა მიხაილ ელგინსა და ორესტ გერემჩუკს სძლია – 1:6, 7:5, 7:5.

ძიუდო

გამოცდა სტამბოლმა ჩაიბარა

წლეულს სექტემბერში ქალაქი ოსაკა (იაპონია) ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. ეს შეჯიბრება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იქ I-VI ადგილებზე გასული მოჭიდაველები 2004 წლის ოლიმპიური თამაშების საგმირებს დაიმსახურებენ. ცხადია, ამ ასპარეზობისთვის მონდომებით ემზადებიან საქართველოს ნაკრების წევრები მთავარი მწვრთნელის – მოთა ხაბარელის ხელმძღვანელობით.

იაპონიაში გამგზავრებამდე ნაკრების მესვეურებს მოგიერთი წონით კატეგორიაში გამრდილი კონკურენციის გამო საკადრო პრობლემები შეექმნათ. ნესტორ ხერგიანის (60 კგ.), დავით მარგოშვილის (66 კგ), შურაბ ზვიადაურის (90 კგ.) და რამაზ ჩოჩიშვილის (აბსოლუტური) ოსტატობა გამგზავრება ეჭვს არ იწვევდა. დანარჩენ მონაწილეთა კანდიდატთა გამოსავლენად ნაკრების ხელმძღვანელებმა სგამოლის საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრება ამჯობინეს, სადაც, ცხადია, მემოთ დასახელებული ოთხი მოჭიდავე არ წაუყვანიათ.

მმიმე წონაში ორი ფალავანი გამოდიოდა – მრავალნაკადი ალექსი დავითაშვილი და გოლითი ჭაბუკი ზვიად ხანჯალიაშვილი (205 სმ.). ფინალში სწორედ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს. გიამარჯვა ხანჯალიაშვილმა და, ფაქტობრივად, მოთა ხაბარელს ირჩევანი გუპადვილა.

100 კილოგრამ წონით კატეგორიაში თავისი უპირატესობა დამტკიცა ივერი ჯიქურაულმა, რომელიც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ასევე პირველი იყო გრიგოლ მამრიკიშვილი (81 კგ.), მისი კონკურენტი დავით ნადარაია კი ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა.

ყველაზე რთული მდგომარეობა 73 კილოში იყო. აქ ერთბაშად სამი ფალავანი აცხადებდა პრეტენზიას – დავით ქვეხუნაშვილი, დავით ბოდაველი და ლევან სულხანიშვილი. ევროპის ჩემპიონობის შარშანდელი პრიზიორი დავით ქვეხუნაშვილი მესამე ადგილზე გავიდა, მისი კონკურენტები საპრიზო ადგილებს მიღმა აღმოჩნდნენ.

ლევანო ცინცაძე.

ადამიანი დროები

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში საკმაოდ მომრავლდა კერძო უმაღლესი სასწავლებლები. ბევრმა კონკურენციას ვერ გაუძლო და ისტორიის კუთვნილება გახდა, მძლავრი საფუძვლის მქონენი კი მყარად დგანან ფეხზე და კვალიფიციურ კადრებს უმრდიან ქვეყანას. ერთ-ერთია თბილისის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, რომელმაც ამას წინათ დაარსების ათი წლისთავი იზეიმა. დღესასწაულზე სტუმართა შორის რამდენიმე ცნობილ სპორტსმენსაც მოვკარი თვალი.

– ინსტიტუტის რექტორი ფელიქს ჩიგიაშვილი ყოფილი ხელბურთელია, – მითხრა საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბაბა დოლიძემ. – სტუდენტობისას ერთად ვთამაშობდით და ჩვენი ურთიერთობა დღემდე გრძელდება...

ინსტიტუტის რექტორი — სპორტული წარსულით

საგზეიმო საღამოს დამთავრებისთანავე შევხვდი ინსტიტუტის რექტორს, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, პროფესორ **ფელიქს ჩიგიაშვილს,** რომელიც რამდენიმე მონოგრაფიისა და ათობით სამეცნიერო ნაშრომის ავტორი გახლავთ. საუბარი, ცხადია, სპორგით დავიწყეთ.

– წარმომობით ხაშურელი ვარ, – მითხრა მან, – სკოლაში სწავლისას ფიზკულტურის მასწავლებლის რჩევით სპორტსკოლის კალათბურთის სექციაში ვვარჯიშობდი, ფეხბურთსაც ვთამაშობდი. მაგიდის ჩოგბურთში მოსწავლეთა შორის საქართველოს პირველობის პრიზიორიც ვარ. საავლდებულო სამხედრო სამსახურისას ლენინგრადის ოლქის ჩემპიონობაც მოქაქს მოპოვებული კალათბურთსა და ფეხბურთში.

– ხელბურთში როგორ მოხვედით?

– გახსოვთ, ალბათ, სამოციანი წლების ქართული ხელბურთი მთელ საბჭოეთში ქუხდა. სწორედ იმ დროს ჩავირიცხე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელსაც ძალიან ძლიერი ხელბურთის გუნდი ჰყავდა. ფიზიკურად მომზადებული ვიყავი და „მონათესავე პროფესიის“ ათვისება არ გამჭირვებია. ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს უნივერსიადებზე მითამაშია ხელბურთის ისეთი დიდოსტატების წინააღმდეგ, როგორებიც არიან ჯუმალ ცერცვაძე, საშა ანანიოგოვი, ჯუმალ აბაიშელი, ლერი კარგოშია, თენგიზ გამდელიანი და სხვები.

– თქვენი გუნდის წარმატებებიდან რომელს გიახსენებთ?

– 1968 წელს საქართველოს სტუდენტთა სპარტაკიადის ჩემპიონები გავხდით – ამ წარმატებამი უდიდესი წელილი ჩვენმა მეკარემ ამირან კომახიძემ შეიტანა. იმავე წელს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საკავშირო პირველობაზე გავემგზავრეთ კაუნასში. ფინალამდე ყველა მეტოქეს ვძლიეთ. გადამწყვეტი შეხვედრა კი ლიტველებთან ომსკელმა არბიგრმა (გვარი არ მახსოვს) წაგვაგებინა. ბიჭები ისე გამწარდნენ, რომ ნერვები ვერ მოთოკეს. მაგჩის დამთავრებისთანავე დავით რუხაძემ მთავარ მსაჯს სახეში აფეთა ხელი. იმ უბედურმა მიმისაგან სასტვენი გადაყლაპა. მასპინძლები მოვარდნენ, დამშვიდება დაგვიწყეს: მართლაც, არბიგრების ბრალია, თორემ პირველობა თქვენ გეკუთვნოდათო. ლიტველებს მომდევნო წელს დნეპროპეტროვსკში დავუმტკიცეთ, რომ მათზე ძლიერები ვიყავით – ქვეჯგუფში დიდი ანგარიშით მოვუგეთ. ნახევარფინალში უკრაინელებს ვძლიეთ, ფინალში კი ამხანაგის გუნდი დავამარცხეთ 17 ბურთის სხვაობით და ჩემპიონობა მოვიპოვეთ.

1972 წლამდე ვითამაშე ხელბურთი. მერე აქტიურ სპორტს შევეშვი, რადგან ერთდროულად სპორგის, სამეცნიერო მუშაობისა და ოჯახის მოვლა-პატრონობის შეთავსება გამიჭირდა.

– ბატონო ფელიქს, თქვენ ბრძანეთ, რომ ინსტიტუტში დღეისათვის 700-მდე სტუდენტი გეყავთ. უმაღლესი სასწავლებლის გაძლიერებული კონკურენციის პირობებში, როგორ ახერხებთ კონტინგენტის შენარჩუნებას და ბიბლიოთეკების ფლობას?

– ჩვენი ინსტიტუტი საქართველოში ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია გაღრმავებული ეკოლოგიური ცოდნით. აქ მომზადებულ სპეციალისტებს უკვე საკუთარი წვლილი შეაქვთ გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის საქმეში, რაც ჩვენთვის კარგი რეკლამაა. ამას ემატება სწავლების მაღალი დონე. სტუდენტთა აღრიცხვის საქმეს ამ პატარა ინსტიტუტში დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიების რამდენიმე აკადემიკოსი, 10 მეცნიერებათა დოქტორი და ოცამდე მეცნიერებათა კანდიდატი ემსახურება. გვაქვს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრი და გამომცემლობა, ბოლო წლებში რამდენიმე უფასო სპეციალობაც გავხსენით. ასე რომ, აბიგურიენტებს ფართო არჩევანი აქვთ.

– როგორც ყოფილ ხელბურთელს, ხომ არ გიფიქრიათ საკუთარი გუნდი გყოლოდათ ეროვნულ ჩემპიონობაში?

– ათი წელიწადია, რეგულარულად ვმართავთ მიდასიანინგიტეტო შეჯიბრებებს, საქალაქო და რესპუბლიკურ ღონისძიებებიც ვიასპარეზეთ, ვიწყობთ ლამქრობებსაც, რათა ხელი შეეწყოთ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. რაც შეეხება დამოუკიდებელი გუნდით ეროვნულ ჩემპიონობაში მონაწილეობას, ეს ჩემი ოცნებაა, მაგრამ ამას დიდი თანხა სჭირდება, რაც ჩვენს ინსტიტუტს, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ გააჩნია. ამის მიუხედავად, მინდა ერთგვარი ხარკი გავიღო საყვარელი სპორგის სახეობისადმი და ჩემს მეგობარს – ბაგონ ბაბა დოლიძეს ვუთხარი, რომ საქართველოს ხელბურთელ ქალ-ვაჟთა ნაკრებების წევრები თუ ისურვებენ, უფასოდ ვასწავლი ჩვენთან ნებისმიერ სპეციალობაზე.

ესაუბრა
ვაჟა დანელია.

სურათებზე: ფელიქს ჩიგიაშვილი დაჯილდოების შემდეგ; საკავშირო ჩემპიონი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი: დგანან (მარცხნიდან) – ანაგოლი ხრიკულოვი, ვლადიმერ ჭყონია, გივი გამცემლიძე, ამირან კომახიძე, ფელიქს ჩიგიაშვილი, მუშნი ფრანგიშვილი, დათო ჭანტურია; სხვადან – რაულ გოქსაძე, ლონგინოზ შუგარაული, ბაბრი ჩეშია და ბიბრი ოსეფიაშვილი.

(სურათი გადაღებულია 1969 წელს დნეპროპეტროვსკში).

ოლიმპიზმი

ითხოვენ კანონის გამკაცრებას

რეზრეს პარიზის გაბეთი „ეკიპი“ იუწყება, ათენის მერიამ თხოვნით მიმართა საბერძნეთის მთავრობას, 2004 წლის ოლიმპიადის წინ გამკაცროს კანონი პროსტიტუციის შესახებ.

1999 წლის კანონი უშვებს საროსკიპოების არსებობას, მაგრამ მათ სამზე მეტი „თანამშრომელი“ არ უნდა ჰყავდეთ. როგორც ათენის მერი აღნიშნავს, ეს კანონი, ფაქტობრივად, „ქადაგდება დარჩა“, ქუჩის პროსტიტუციის კი ჰყავთს. სავარაუდოა, რომ ოლიმპიადის დროს ათენში მრავალი მეძავი ჩამოვა, მათ შორის – საბერძნეთის საზღვრებს გარეშეანაც.

ყოველი მხრიდან

ფოე უკანასკნელ გზაზე გაიცილეს

ბრანდლეზენ მანიფესტაციად გადაიქცა 26 ივნისს კონფედერაციათა თასის ნახევარფინალურ მაგჩზე გარდაცვლილი კამერუნის ნაკრების ფეხბურთელის მარკ-ვივიენ ფოეს დაკრძალვა.

ჯერ კიდევ კვირა საღამოს 100 ათასზე მეტი გულმემაგკივარი მივიდა სგადიონზე, სადაც დასვენებული იყო ფოეს ცხედარი. მისი ხსოვნის პაგივსაცემად სგადიონზე ელექტროგანათებაც კი ჩართეს, რაც, ჩვეულებრივ, მხოლოდ საერთაშორისო მაგჩების დროს ხდება ხოლმე.

ორშაბათს ხალხს ვერ იგეკდა იაუნდის ნოგრ-დამის გაბარი, სადაც მას პარაკლისი გადაუხადეს. ფეხბურთელთან გამოსამშვიდობებლად მივიდნენ კამერუნის პრეზიდენტი პოლ ბიია, ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი, მთავრობის წევრები, ეროვნულ ნაკრების ფეხბურთელები.

დოპინგი გამოიჭირეს... ცხენი

დიდ ხათაბალაში გაეხვია ცნობილი მსედარი ქალი, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ჩაოვლაში, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი, გერმანელი ულე ბალეგგებერი. მას ემუქრება გერმანიის ცხენოსანთა ნაკრებიდან გარიცხვა, რომელმაც აგვისტოში, ინგლისის პიესტედში უნდა დაიცვას კონტინენტის სუკეთესო გუნდის სახელი. ამ სკანდალის მიზანია ის, რომ დოპინგის სმარებაზე გამოიჭირეს... მისი ცხენი, სახელად რიუსტი.

სპორტულ-საცხენოსნო შეჯიბრებებზე დოპინგის შესამოწმებლად სისხლის იღებენ არა მხოლოდ სპორტსმენისგან, არამედ ცხენდანაც. აკრძალული გეზოსტერონი აღმოჩნდა რიუსტის სისხლში, რომლის ანალიზი ჯერ კიდევ მარტი აიღეს ეეტერბორში, მსოფლიო თასის გათამამებაზე.

ბალეგებერმა განაცხადა, რომ, ალბათ, გეზოსტერონს შეიცავდა ის წამალი, რომელიც მის ცხენს მამამ ვეიერა-ძველმა ვეტერინარმა დაუნიშნა და მოითხოვა სულ ახალი ანალიზი, ეინიადან პირველი მედარად მიაჩნია. როგორც ცნობილი გახდა, უახლოეს სამ კვირაში ჩაგარდება განმეორებითი ანალიზი და თუ მისი შედეგიც დადებითი იქნება, მხედარ ქალს საფუძვლიანი აზსნა-განმარტება დასჭირდება, რისთვისაც მას 10 დღე მიეცემა.

სტარტი ისტორიული ადგილიდან ზედასორით დასრულდა

მსოფლიოს ყველაზე პოპულარული მრავალდღიანი სუპერველოსიპედის „ტურ დე ფრანს“-ის პირველ ეტაპს სგარგი მიეცა ამ ადგილიდან, სადაც 60 წლის წინათ დაიწყო „დიდი მარეუჯის“ ეს შეჯიბრება.

სამწუხაროდ, ის ბოლო კილომეტრზე დიდი მედასორით დამთავრდა, რაც „კელმეს“ ესპანელმა ველოსიპედისგმა ენრიკე გუტერესმა გამოიწვია, თუმც ყველაზე მეგაგდ დამავდა ამერიკელი მრბოლი გაილერ ჰემილგონი, რომელსაც ექიმებმა დაუდგინეს ლავიწის ორმაგი მოგეხილობა და მხრის ღრძობა.

თუ გაილერი დროზე არ განიკურნება და გუნდს არ დაუბრუნდება, ეს ამერიკელებისათვის აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება, რადგან გუნდის მთელი საბრძოლო გაქეიკა მის მონაწილეობაზე არის დამუშავებული. 30 წლის მასაჩუსეტელმა მრბოლმა ვმირული გადაწყვეტილება მიიღო – ის რბოლას აუცილებლად გაგრძელებს. მარშან „ჯიროს“ შეჯიბრებებზეც ტრავმირებული ასპარეზობდა, მაგრამ ფინიშთან მაინც მეორე მივიდა.

ზედახორაში მოაყვა წლევანდელი რბოლის მთავარი ფავორიტი – „დიდი მარეუჯის“ ოთხგზის ჩემპიონი, ამერიკელი ლანს არმსტრონგიც, მაგრამ, საბედნიეროდ, იოლად დაიღწია მას თავი.

სურათზე: დაშავებული ჰემილგონი.

ცინცხალი ამბები

ამმ მოცვარულ მოკრიფეთა მთავარმა მწვრთნელმა ფრენე ჯიგანელ ბანეკოკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონობაზე პროტესტი გამოთქვა მსაჯების მიმართ, თითქოს მათ ათი სპორტსმენიდან შვიდი დაუმსახურებლად გამოთითეს ასპარეზობას. „ვიენმა ბიბეამ ყველაფერი იფონეს გამარჯვების მოსაპოვებლად, მაგრამ მსაჯთა წინააღმდეგობის დასლეგა შეუძლებელი აღმოჩნდა“, განაცხადა მან.

კომპიუტერის საკერებლის მიერ ჩაგარებული გამოკითხვის შემდეგ, კოლუმბიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელად არჩეულია ამ გუნდის ყოფილი მოთამაშე კარლოს ალბერტო ვალდერამა (ფოგოზე).

ფედერაციის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა კი ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ აღნიშნეს, რომ ნაკრეს კვლავ სათავეში ულგას ფრანციკო მაგურანა, და რომ ეს გადოკითხვა საკერთო ხოიკებიან და შეგი არარეალური. ამასთან აღნიშნეს, რომ 41 წლის ვალდერამას არ გაჩენია სათანადო პრაქტიკული გამოცდილება, რომ სათავეში ჩაუდგეს ეროვნულ ნაკრებს.

ვალდერამას მონაწილეობა აქვს მიღებული 1990, 1994 და 1998 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე. იგი ორჯერ არის დასახელებული სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელად.

სპორტის რედაქცია

დასაძებელი

სურვილი იყოს, თორემ სამუშაო არის

სამუშაო ადგილების ვაკანსიები 7 ივლისისთვის

	რაიონი	ვაკანსია	ხელფასი	ტელეფონი
38	მიაწერილი-კრწანისი	მასაჟისტი	შეთანხმებული	[illegible]
39	მიაწერილი-კრწანისი	კონფეტლიერი	შეთანხმებული	[illegible]
40	მიაწერილი-კრწანისი	[illegible]	შეთანხმებული	[illegible]

საქართველოს რესპუბლიკა
№ 179, ოთხშაბათი, 9 ივლისი, 2003 წელი.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

საქართველოს სიმდერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის მომღერალთა გუნდი. მარცხნიდან მარჯვნივ: ოთარ ბლუაშვილი, ილია დათუაშვილი, სოსო მაქარიაძე, ავთანდილ კაკონაშვილი, შურმან რუსეთაშვილი, ნუგზარ წერეთელი, ნუგზარ კურცხალია, გივი ბაკურაძე, ლევან გოგოლაძე, ჯემალ მუსერიძე.

ხაშურის მინის გარის ქარხანა. „ჯორჯიან გლას ენდ მინერალ ვოგარს კომპანიის“ დაარსების პრეზენტაციაზე.

1995 წლის ბოლო.

შეგახსენებთ, რომ ხურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

ფოგოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდილიდან ერთი კვირის ვადაში მოგაკითხონ რედაქციას გამოსაქვეყნებლად დაგოვებული სურათების წასაღებად.

თითქმის ნატურიდან

გულის ფანქცალით დაგეძებ...

ბუშინ ქეჩაში კოლეგას გადავეყარე. ახალი ტელეარხი გავხსენით, — მახარა.

— რა დაარქვი ახალშობილს? — დავინტერესდი.

— „მთვარე“.

— როგორ თუ „მთვარე“?

— როგორ და ასე. თუკი „მზე“ შეიძლება ერქვას ტელეკომპანიას, ვითომ „მთვარემ“ რა დაამავა?

— ჩვეულებრივ მზის გარემოში იბრუნეს ეგ შენი მთვარე, თუ...

— ამჯერად სიყვარულისა და სექსის გარშემო. მთვარე ხომ ისტორიულად მეყვარებულთა მესაიდუმლეა.

— აა, გასაგებია, მთვარის შუქზე წყვილთა ჩურჩულს მოგვასმენინებთ?

— და არა მარგო ამას, ყველაფერს, რაც სიყვარულსა და ცივილიზებულ სექსუალობას უკავშირდება.

— ცისფერ სიყვარულსაც?

— მაგას რა კითხვა უნდა! ცისფერებს და მათ მონათესავე ჩაგრულ უმცირესობებს ეთერში ცალკე პროგრამა დაეთმობა.

— სწორი ხარ, — შეეგულიანე კოლეგა, — მოსწყინდა ხალხს ტელეეკრანებიდან ცემა-ტყეპის ყურება და ლანძღვა-გინების მოსმენა.

— კარგია, რომ შენც ჩემსავით ფიქრობ, — მომიწონა მან, — სასიყვარულო თავგადასავლების მოსმენა, საერთოდ, სექსზე ყურადღების გადაგანა ჩვენს დაბაბულ ყოფას ერთგვარად შეამსუბუქებს, გახლეჩილ ერს ერთ მუშგად შეკრავს.

— ვის გარშემო შეკრავს?

— ვერ ვიტყვი, რომ მიშასა და მურიკოს გარშემო-მეთქი, მაგრამ საერთოდ რომ შეკრავს, ეს ფაქტია. ამის მომსწრე თავად გავხდი ამას წინათ, როცა საგელეევიჩით გადაცემაში — „სადა ხარ, ჩემო სულიკო“ — ყველასთვის კარგად ცნობილი ქალბაგონები გამოვიყვანეთ.

— რომელი ქალბაგონები?

— გვარებს ნუ ჩამომათვლევინებ. იმათგან ზოგი დეპუტგანია, ზოგი მეომარი, ზოგიც მომღერალი და მსახიობი...

— დეპუტგანი არ გამაგონო!.. მაგათ დანახვაზე ალერგია მემართება.

— მენ მასე გეგონოს. ის ქალბაგონი ისეთი განცდით ჰყვებოდა ახალგაზრდობაში გადახდენილ სასიყვარულო ამბებს, რომ ჩემს ცოლს ცრემლები ღაპაღუპით მოსდიოდა.

— მაინც რა თქვა ასეთი?

— თავი შეგვაბრალა: ახლა რომ დაეჩამიჩვედი, თქვა მან, ყოველთვის ასეთი კი არ ვიმყოფებოდი, ახალგაზრდობაში ისეთი ცეკვა ვიცოდი, მამაკაცები ჩემთან სახლოვის ნდომით დნებოდნენო. ერთხელაც საზღვარგარეთ ყოფნის დროს, ქალბაგონი ეიღაც ჯენგალმენს საცეკვაოდ გაუწვევია. ამას იქაური ენა არ სცოდნია და კავალერს რომ ვერაფერი გაუგებინებია, ამდგარა და ცეკვის დროს მომავალი დეპუტგანისთვის მუჭამი დოლარები ჩაუწერთიო.

— მერე, აუღია?

— რას ლაპარაკობ, ასეთი რეპუტაციის ქალბაგონი იმნაირ საქმეს როგორ იკადრებდა. ვერც იმ ჯენგალმენს გაამგყუნებ — რა იცოდა, რომ მასთან მოცეკვავე მომავალი ცნობილი პოლიციელი გახდებოდა.

— როგორ ფიქრობ, ეშველება კიდევ რამე მაგ საქმეს?

— ისეთი თაყვანისმცემელები მყავდა, რომ ერთმა მათგანმა ბალში აყვავებული ატმის ხე მოგლიჯა და პირდაპირ სცენაზე მომართვაო.

— ქმარმა არ იეჭვიანა?

— არა, რადგან, როგორც თვითონ თქვა, ის თაყვანისმცემელი თავად მეულლე ყოფილა.

— არ გადამრიო!

— აკი ამიგომაც გადაგვერია ტელეწამყვანი ქალბაგონი, რომელსაც მენც კარგად იცნობ, და ეთერში საკუთარ თაყვანისმცემელთა გვარები გამოაჭენა.

— მერე?

— მერე ისა, რომ თაყვანისმცემლები გაისუნენ, მათი ცოლები კი მეორე დილასვე მოგვადგნენ და საროგატსკო აქეთ მოგვიწყვეს.

— რას მოითხოვდნენ?

— სასწრაფოდ ბეიკერთან შეხვედრას (მაშინ ის თბილისში იყო) და პრეზიდენტის გადადგომას. ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვეშინდა და „სულიკოს ძეებნ“ დროებით შევაჩერეთ...

ოთარ ხუციშვილი.

ყურადღება!

საერთაშორისო ორგანიზაციების მოწვევა ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელების ანგარიშის მოვამზადებაში მონაწილეობის მისაღებად

2000 წლის 8 სექტემბრის მე-8 პლენარულ სხდომაზე 147 სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურებმა მიიღეს „გაეროს ათასწლეულის დეკლარაცია“. მასში ჩამოყალიბებულია მსოფლიომი მშვიდობის, უსაფრთხოებისა და განვითარების საკითხები, რომლებიც, აგრეთვე, მოიცავს გარემოს დაცვის, ადამიანის უფლებების დაცვისა და ეფექტური სახელმწიფო მართვის პრინციპებს. დეკლარაციით აღიარებულია ათასწლეულის განვითარების მიზნები, რომლებიც რვა ძირითადი მიმართულებისგან შედგება: 1) სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა; 2) მსოფლიო მასშტაბით დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა; 3) სქესთა თანასწორობისა და ქალთა ძალაუფლების გაზრდა; 4) ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება; 5) მშობიარეთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება; 6) აიდგ/შიდსთან, მალარიასა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა; 7) გარემოსდაცვითი ღონისძიებების სტაბილურობის უზრუნველყოფა; 8) განვითარებისათვის მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბება.

საქართველო, როგორც ათასწლეულის დეკლარაციის ხელმომწერი მხარე, ვალდებულია უზრუნველყოს ათასწლეულის განვითარების ამოცანების ასახვა ეროვნული განვითარების სტრატეგიებში და მოახდინოს მათი განხორციელების შესახებ პერიოდული ანგარიგების.

საქართველოს მთავრობა და გაეროს ორგანიზაციათა ჯგუფი საქართველოში იწვევენ სათანადო გამოცდილების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებს საზოგადოებრივ საწყისებზე მონაწილეობის მისაღებად ათასწლეულის განვითარების მიზნების შესრულების ანგარიშის მომზადების პროცესში.

დინტერესებულ ორგანიზაციებს ვთხოვთ, 2003 წლის 15 ივლისის 18 საათამდე მიმართოთ ბაგონ ვიქგორ ბარამიძეს მისამართზე: საქართველოს სახელმწიფო კანცელარია, სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის სამდივნო. ინგოროყვას ქ. №7, ტელ: 989713, ელ-ფოსტა: vbaramia@yahoo.-com ან ქალბაგონ ქეთევან ხელაძეს მისამართზე: გაეროს სახლი, ერისთავის ქ. № 9, ტელ 251126/28/29/31, ელ-ფოსტა: ketie.khel-adze@undp.org

დიმილის დოზა

რუსეთში ორი კი არა, სამი უბედურებაა — სულელები, გზები და სულელები, რომლებიც გზას გიჩვენებენ.

* * *

წყაროსთან, გრილოში ზის ცრამთავიანი დევი და ასრულებს გუნდურ სიმღერას შეუწყობელი და არეული ხმებით.

* * *

პაციენტი ფსიქიატრის კაბინეტში შედის.

— მე ველინგტონი ვარ!

ექიმი მიგვრდება კარს, გადარაზავს და პაციენტს ეტყვის:

— როგორც იქნა! მითხარით გულახდილად, ველინგტონ, რა შეცდომა დაუშვით ვატერლოოს ბრძოლაში?

* * *

კაცი სამსახურში სახეახვეული მივიდა.

— რა დაგემართა? — შეწუხდნენ თანამშრომლები.

— მფრინავ თეფშს შევეჩეხე.

— არ გადაგვრიო. როგორ მოხდა ეგ ამბავი?

— წარმოდგენა არა მაქვს, სად შოულობს ჩემი ცოლი ასეთ თეფშებს.

* * *

ყველას რაღაცის უნდა გვჯეროდეს! მე, მაგალითად, მჯერა, რომ კიდევ ერთ ჭიქას დავლევ.

რეგულარული, კვირამი ერთხელ, სასაზო გემით ტვირთების კონტეინერებით გადაგიდვა მარმრუტით:

ფოთი — ოდესა (ილიჩოვსკი) — ფოთი

ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:

თბილისი — (995 32) 227223, ფაქსი 221129,
Email: barwilt@access.sanet.ge;
ფოთი — (995 393) 71681/82, ფაქსი 71685/86,
Email: elglch@barwilpti.com.ge;
ოდესა (ილიჩოვსკი) — (380 482) 345912, 346027,
ფაქსი 346141, Email: barwil.odessa@barwil.com;
კიევი — (38044) 229 8539, ფაქსი 228 3036,
Email: aosadchiy@barwil. kiev.ua.

„სევდის ბალს შევალ“...

მგელსა ლეკვები დარჩაო...

44 წლის წინათ დაღუპული ძმაკაცი მინდა გავიხსენო, ანდრო ჭიჭინაძე, „ჩიჩიკა“.

გინახავთ? გახსოვთ?

ულამაზესი, სულითა და ხორცით დახვეწილი რაინდი. ცრემლივით სპეკტაკი.

შესანიშნავი კალათბურთელი, მომავალი გეოლოგი.

არსებობს განუკურნებელი ავადმყოფობა, ხდება სიკვდილი ჩხუბში, შეგნებული თავგანწირვა.

მე კი ბედისწერისა მჯერა.

ბედისწერაა, როცა სალ-სალამათი, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე ჭაბუკი გმაჯავარედინზე მანქანას გადაურბენს და... ეს ამბავი ვერაზე მოხდა. ამ გრაგედიამ ქალაქი დაამწუხრა. მამინ „ჩიჩიკა“ 26 წლის იყო.

დარჩა უმამოდ ოთარიკო.

ცალულად დარჩა ულამაზესი ლალი საყვარელიძე!

დღეს ოთარი ექიმია, ლალიმ მუსიკას მიანდო თავისი დაულრულებელი სიყვარული.

„ჩიჩიკა“ კი დღეს, სამოცდაათი წლის იქნებოდა.

ერთი ხალხური ლექსი უყვარდა ანდროს:

ამბობენ მოკვდა მგელიო,
თხამ გაიგონა, მახგაო,
— რა ბახგუნავვებს, შე თხაო,
სამგლეთი ხომ არ გაწყდაო?!
შენ თუ ცოცნები დგაოვე,
მგელსა ლეკვები დარჩაო.

რაგომ ამოიჩემა ეს ლექსი? წინათგრძნობა ქქონდა? ალბათ, რადგან უღვთოდ წავიდა, მაგრამ „ლეკვები“ დარჩა — ოთარიკო და მისი პირმშო პაგარა ანდრო ჭიჭინაძე.

ქალაქში კვლავ ივლის ანდრო ჭიჭინაძე.

გურამ გოგაძრთელი.

ხსოვნა

რობერტ ბარძიმაშვილი



ქართულმა მუსიკალურმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ცნობილი მუსიკოსი და მომღერალი, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულგურის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სტუდენტთა მხაგრული და ესთეგიკური აღზრდის დარგში რობერტ ბარძიმაშვილი. ბაგონმა რობერგმა 1960 წელს დაამთავრა თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიგატის ფრანგული ენის ფაკულგეტი. მან ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში ჩვენთან ჩამოაყალიბა სტუდენტური სიმღერათა ანსამბლი „ორერა“, რომელიც შემდეგ მისი ხელმძღვანელობით მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილი ანსამბლი გახდა. მომდევნო წლებში იგი იყო სხვადასხვა ანსამბლების ხელმძღვანელი და წარუმლელი კვალი დაგოვა ქართულ საერსგრადო ხელოვნებაში.

ბაგონმა რობერგმა 1999 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულგურის სახელმწიფო უნივერსიტეგის პრორექგორად. მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით ჩვენს უნივერსიგეგში არაერთი მუსიკალური სპექტაკლი დაიდგა. 2001 წელს მან უნივერსიგეგში დადგა ვიქგორ პიუოს „საბრალონის“ მიხედვით მიმელ მონბერგის მიერ შექმნილი როკ-ოპერა, რომელმაც უცხოელი სპეციალისგების დიდი მოწონება დაიმსახურა. მიმდინარე წლის ნოემბერში გათვალისწინებული იყო ამ სპექგაკლის საფრანგეთში ჩვენება. დიდად სამწუხაროა, რომ ეს ოცნება მას განუხორციელებელი დარჩა. გათვალისწინებული ჰქონდა, აგრეთვე, ჩვენი უნივერსიგეგის ბაბაზე მუსიკალური თეგარის შექმნა. ბაგონი რობერგი მრავალმხრივ შემოქმედებით და აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდა ჩვენს ინსტიგუტში და მის გარეთ.

ბაგონო რობერგ! მსუბუქი იყოს თქვენთვის მმობლიური ქართული მიწა. თქვენ ჩვენთვის მარად დაუვიწყარი იქნებით!

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულგურის სახელმწიფო უნივერსიგეგის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენგები.

დედაქალაქი

«ნახალოვკის» ნაცვლის ხე

ნაძალადევში, ზესგაფონისა და მაბნიაშვილის (ყოფილი ხუთწლედის) ქუჩების გადაკვეთაზე, შუა გზაჯვარედინზე ჭადარი გაფოთლილა. „ეს ჩვენი ნაგვრის ხეაო“, — სუმრობენ „ნახალოვკელები“. მართლაც, შეუბამთ მისთვის ჭრელა-ჭრელა ნაჭრები. ადრე აქ ჭა იყო, საკანალიზაციო ჭა, რომელიც ყველა ქუჩაცა, მაგრამ ჩაინგრა. მის ადგილზე უმარმაბარმა ორმომ დაიღო პირი. მართლაც, რომ საშიში იყო მანქანებისთვისაც და შეღამებულზე იმ ფუხით მოსიარულეებისთვის, ვისაც ტროტუარი ეპაგარავება და შუა „პროსპექგზე“ უყვარს სეირნობა. წინდახედულმა უბნელებმა (წინდახედულებმა, რადგან კარგად იციან, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს უფრო მალე გაიყვანენ, ვიდრე ამ ჭას ამოაშენებენ) ორმოში გადაჭრილი ჭადრის ტოტი ჩადეს, იქნებ ამას მაინც მიაქციოს ყურადღება გამგეობის ხალხმაო. თქვენც არ მომიკვდეთ — გაიფოთლა ჭადარი, მხრები გაშალა, გალაღდა, „ნახალოვკელებიც“ შეეჩვივნენ, ემანდ მანქანა არ დაეჯახოსო და წითელი ნაჭერიც შეაბეს. მერე... მერე ვიღაცამ თეთრი, ჭრელი და ათასფერი ნაჭრებით შემოსა. ზოგმა აფხაზეთში დაბრუნება ჩაუთქვა, ზოგმა შვილის ინსტიგუგში მოწყობა და... ნაგვრას რა გამოლევს ამ არეულ დროში! ასე გაჩნდა გზაჯვარედინზე „ნაგვრის ხე“.

„ქალაქის თავებს“, ალბათ, კარგად ახსოვთ, რუსთაველის პროსპექტის რეკონსტრუქციას როგორ შეეწირა საუკუნოვანი ჭადარი. მერე ხალხის მოთხოვნით მუნგად იმავე ადგილზე ჩარგეს ახალი. ალბათ, ფიქრობენ, ნაძალადეველეებიც ვერ გაძლებენ „ნაგვრის ხის“ გარეშე და ოდესმე შეკეთებულ ჭას ძალით დაანგრევენ, რომ მის ადგილზე ახალი ჭადარი ჩარგონო. ვინ იცის?

ისე, „ნახალოვკელებს“ იუმორის გრძნობა აქვთ, მაგრამ მოთმინების ფიალაც სხვებზე ადრე ევსებათ ხოლმე...

ბამუკა ბაშაკიძე.

ბეთი ჯოლბორდის ფოგო.



აი, ეს „ნაგვრის ხე“.

დაეუფლეთ საზღვაო სპეციალობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

საერთაშორისო ალიარების მძონე დიპლომი მაღალანაზღაურებადი სამუშაოს პერსპექტივა როგორც საქართველოს, ასევე უცხოური კომპანიების გემებზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო ფაკულტეტზე 2003-2004 სასწავლო წლისათვის გამოცხადებულია მიღება გემთმშენებლობის და გემთმოძღვანიკოსის სპეციალობებზე.

მიღება ხორციელდება საბიუჯეტო სექტორზე (სწავლა უფასოა).

აბიტურიენტებმა უნდა ჩააბარონ მისაღები გამოცდები:

მათემატიკა (წერა); ფიზიკა (ზეპირი); ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი გასაუბრებით).

განცხადებები მიიღება 1 ივლისიდან 19 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 20 ივლისიდან.

მისამართი: მ. კოსტავას 68, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I კორპუსი, V სართული, ოთახი 547. ტ.: 36-40-35.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის წევრები გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებენ გამოჩენილ მწერალსა და მეცნიერს, ბაგონ რევაზ მიშველაძეს ძვირფასი მამის, პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის

ავქსენტი მიშველაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პარლამენგის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისგრაციული რეფორმების კომიგეგი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ საქართველოს პარლამენგის წევრს, ბაგონ რევაზ მიშველაძეს გარდაეცვალა მამა

ავქსენტი მიშველაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს გენერალური პროკურაგურა თანაუგრძნობს ბაგონ რევაზ მიშველაძეს მამის

ავქსენტი მიშველაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს გენერალური პროკურაგურა სამძიმარს უცხადებს სოხუმის რეგიონულ სამხედრო პროკურორს, ბაგონ ედვარდ ვართაგავას მამის

შუნდუ ვართაგავას

გარდაცვალების გამო.

ლევთერ (ოთარ) ხოფერია ოჯახით მწუხარებით იუწყება, რომ უახლოეს მეგობარს ედვარდ ვართაგავას გარდაეცვალა მამა

შუნდუ ვართაგავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე გრიმა კოხრეიძე, შვილები მერაბ, მამუკა, რძლები ნინო, ვერიკო, შვილიშვილები მაიკო, გოგა, ვახტანგ, თამრიკო, სიძე მოთიკო თათვიძე, მული თეო ხეთერელი, რძალი მერი კუტალაძე, ძმისშვილები, მაზლისშვილები და მულისშვილები იუწყებიან

ეთერ ოლიფანტეს ასულ ადამია-კოხრეიძის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა 12 VII, სამგრედიის რაიონი, სოფ. იანეთი.

მაზლიშვილები დალი და ლალი კოხრეიძეები, ვალერი სხალაძე, ლევან მანჯავიძე იუწყებიან, რომ გარდაეცვალა

ეთერ ადამია-კოხრეიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ყურადღებით!

ეროვნული ბანკის ბანკნოტებზე ეროვნული ენა ბანკნოტებზე ეროვნული ენა

ეროვნული ბანკი ეროვნული ბანკი

ეროვნული ბანკი ეროვნული ბანკი

**ეროვნული ბანკი ეროვნული ბანკი